საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-976

ქ. თბილისი

11/10/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. წყალწმინდაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მდ. სუფსის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში მდ. სუფსის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო უბანი მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში მდ. სუფსას შესართავთან. საპროექტო ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატებია: X – 728006,983 ; Y- 4655602,763 და X – 728002,497 ; Y- 4655342,786.

მდ. სუფსა ხასიათდება წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. წყალმოვარდნის მაქსიმალური დონეები შემოდგომაზე ფიქსირდება. საკვლევ უბანზე მდებარეობს ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლით და დამხმარე ნაგებობებით, რომელიც სახიფათო არეალშია, როგორც მდინარესთან აგრეთვე ზღვასთან. მანძილი ზღვიდან აღნიშნულ ნაკვეთამდე 19 მეტრია. ზღვის სანაპიროზე, მდინარის შესართავი ყველაზე დინამიური, არამდგრადი უბანია. პროექტით გათვალისწინებულია ავარიულ უბანზე 258 მეტრზე ხრეშის დეფორმირებადი ბერმის მოწყობა.

სამუშაოების ჩატარდება დაგეგმილია მდინარის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო დროით. ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ მოეწყობა სამშენებლო ბანაკი. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება დისლოკაციის ადგილს.

სამშენებლო მოედანზე არ იქნება გამოყენებული არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა, გარდა პროექტით გათვალისწინებული ადგილობრივი ბალასტისა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. გათვალისწინებული არ არის დიდი

რაოდენობით ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში და მდინარის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის.

ბუნებრივი რესურსებიდან უშუალო შეხება შესაძლებელია იყოს მდინარის წყალთან კალაპოტის ჭარბი აკუმულაციური მასალისგან გაწმენდის პროცესში. წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვ., რასთან დაკავშირებითაც სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ტექნიკას უნდა ქონდეს გავლილი ტექდათვალიერება, რათა არ მოხდეს ტერიტორიის დაბინძურება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით.

კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნა ნარჩენები. სახიფათო ნარჩენების (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.) რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში. გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში. საიდანაც გადაეცემა ნებართვის მქონე იურიდიულ პირს. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა. ამდენად, რაიმე სახის კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შესაძლებელია მოხდეს სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ინერტული მასალების მართვის პროცესში წარმოქმნილი მტვერით. ასევე, გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეული გამონაბოლქვით. პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონალური ობიექტები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადების და ტექნიკის განსაზღვრულ საათებში მუშაობიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო უბნებზე გასახორციელებელი პრაქტიკული ღონისძიებების მასშტაბებიდან გამომდინარე ხმაურისა და ვიბრაციის დონეები დაბალია. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ხმაურის წყაროები შეწყდება.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების ადგილი არ ხვდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე და არ ითვალისწინებს ზემოქმედებას მცენარეულ საფარზე. დაგეგმილი სამუშაოები მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია რაიმე მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებთან არ არის დაკავშირებული. პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არსებული მდგომარეობა, ნაპირების გამაგრება დადებით გავლენას მოახდენს კალაპოტის ფორმირებაზე.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში მდ. სუფსის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი